



არემჭი

სიასტაქები

რიჩ მეტალს გრუპი

N 12 | მარტი | 2015



"არემჭი" თანამშრომლებმა პარლამენტის შენობასთან აქცია გამართეს

"დღესდღეობით, "არემჭი კოპერსა" და მის დაქვემდებარებაში მყოფ კომპანიაში სამი ათასი ადამიანია დასაქმებული. ჩვენ 1975 წლიდან ვეწეით სამთომოპოვებით სამუშაოებს. ჩვენ არაფერს არ ვანადგურებთ. ეს არის ჩვეულებრივი კომპანია, რომელიც სპილენძის მადნის მოპოვებას და გადამუშავებას აწარმოებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები, კერძოდ კი, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ეწევიან კომპანიის მიზანმიმართულ დისკრედიტაციას, რასაც ისინი ამბობენ, არის ტყუილი. ისინი წარმოების შეფერხებას და ქვეყნისთვის, როგორც სახელმწიფოსთვის, ძირის გამოთხრას ცდილობენ. მინდა ვთქვა, რომ წარმოებას ვერაფერს ვერ გააჩერებს!" - აღნიშნა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, კახა კვეკელიძემ.

"რომელ კომისიაზეა საუბარი, ან რატომ შეჰყავთ ამდენი ხალხი შეცდომაში?! ჩვენზე უკეთესად იცის ვინმემ, იქ რა იყო?! იქ იყო ერთი ბორცვი, რომელსაც ორი ნაპრალი ჰქონდა, ამ ნაპრალს გადააყოლეს

მთელი საქართველო. გამოვიდნენ შენობიდან, დაგველაპარაკონ და გაგვეცნა პასუხი, რას უპირებენ ამდენ ხალხს?!" - ამბობს გია მუშკუდიანი.

თანამშრომლების განცხადებით, თუ "ნაციონალური მოძრაობა" და "თავისუფალი დემოკრატები" კომპანიის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას ისევ გააგრძელებენ, ისინი პარლამენტის წინ აქციებს პერმანენტულად გამართავენ. "ჩვენ გვაინტერესებს, რა უნდათ მათ. გამოვიდნენ და გაგვეცნა პასუხი! რატომ უნდათ, რომ 3000 კაცი, რომელთა უკანაც ოჯახები და შვილები არიან, ლუკმა-პურის გარეშე დარჩნენ?! ჩვენ კი ვიცით, მათ რაც უნდათ, რომ სიღარიბესა და ჯაბჭოში ვიყოთ, მაგრამ ჩვენ აღარ გვინდა სიცრუეში ცხოვრება. ჩვენ გვინდა მუშაობა და სიმართლით ცხოვრება" - აღნიშნა გიორგი ნასყიდაშვილმა.

"თავის დროზე შექმნილი იყო კომისია, სათანადოდ გამოიკვლიეს, გამოიძიეს

კომპანია "არემჭის" თანამშრომლებმა ქუთაისში, პარლამენტის შენობასთან, აქცია გამართეს. საწარმოს თანამშრომლები "ნაციონალური მოძრაობისა" და "თავისუფალი დემოკრატიის" წევრებს მოუწოდებდნენ, გამოსულიყვნენ და ეკლესიაში მათ კითხვებზე, თუ რატომ ცდილობენ წარმოების გაჩერებასა და ათასობით ადამიანის უღკმაპუროდ დათოვებას.

და დადეს შესაბამისი დასკვნაც. 400 კილომეტრზე ვართ ჩამოსული, რისთვის?! იმიტომ, რომ არ გვაძლევენ ნორმალურად მუშაობის საშუალებას," - განაცხადა მხევინარ აზარაშვილმა. მოგვიანებით, აქციის მონაწილეებმა პარლამენტის შენობაში შესვლა და იმ დეპუტატებთან შეხვედრა მოითხოვეს, რომლებიც საყდრისის საბადოსთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნას უჭერენ მხარს. ბოლოს კი სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიმართ პროტესტის ნიშნად კვერცხები დაუშინეს პლაკატებს, რომლებზეც ამ პარტიების ანტილოზუნგები იყო.



"არემჯიმ" გარემოსდაცვითი აუდიტის გეგმის პრეზენტაცია გაიმართა



კომპანია "არემჯიმ" 20 მარტს, სასტუმრო "რედისონ ბლუ ივერიაში" გარემოსდაცვითი აუდიტის გეგმის პრეზენტაცია გამართა. კომპანიის ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სამსახურმა საზოგადოებას ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია ააიპ "გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებელი კომისია" წარუდგინა, რომელიც დამოუკიდებელი, მაღალკვალიფიციური და საერთაშორისო ექსპერტებით არის დაკომპლექტებული. ღონისძიებაზე მონაწილე სტუმრებსა და მედიას ჩასატარებელი აუდიტის გეგმა საერთაშორისო გარემოსდაცვითმა აუდიტორებმა, პროფესორმა გრიგორი შმატკოვმა და ირინა ნიკოლაევამ (უკრაინა) გააცნეს. ისინი იმ 18-კაციანი ჯგუფის წევრები არიან, რომლებიც 6-თვიანი პროექტის მსვლელობისას უზრუნველყოფენ გარემოსდაცვითი მაჩვენებლების დამოუკიდებელ შეფასებას შპს "არემჯი გოლდისა" და სს "არემჯი კოპერის" კუთვნილ სამთო-მოპოვებით საწარმოებში. მომდევნო თვეებში სამუშაო ჯგუფს ასევე შეუერთდება ევროკავშირის ქვეყნების შესაბამისი ინსტიტუციების მიერ აღიარებული მსოფლიო ბანკის ექსპერტი, გარემოსდაცვითი

აუდიტორი, შვედი კარლ ლუნგერი. გარემოსდაცვითი აუდიტის ექსპერტთა ჯგუფში წარმოდგენილი არიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი გარემოსდაცვითი აუდიტორები, გეოლოგები, სამთო და გეოინჟინერები, ნიადაგმცოდნეები, წყლის ექსპერტები და სხვა. ისინი საფუძვლიანად შეისწავლიან, თუ რა ზემოქმედებას ახდენენ გარემოზე საწარმოს პროცესები, შეიმუშავენ და დაგეგმავენ შესაბამის რეკომენდაციებსა და შემარბილებელ ღონისძიებებს. კომპანია "არემჯის" მიზანია, გარემოსდაცვითი აუდიტი მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარიმართოს და საზოგადოება სათანადოდ იყოს ინფორმირებული, როგორც მისი მიმდინარეობის, ასევე საბოლოო შედეგების შესახებ. მიხეილ კვარაცხელია ("არემჯის"



კომისია, რომელიც ჩვენ ტენდერის

საფუძველზე შევარჩიეთ და რომელიც საწარმოებში გარემოსდაცვით აუდიტს ჩაატარებს, დაკომპლექტებულია გამოცდილი და მაღალკვალიფიციური ქართველი და უცხოელი ექსპერტებით. გარემოსდაცვითი აუდიტის მიზანია, ყველა არსებულ კითხვას გაეცეს პასუხი და აღნიშნულ ტერიტორიაზე გარემოს რეალური მდგომარეობა გამოვლინდეს. აუდიტმა უნდა განსაზღვროს, გარემოსდაცვითი მაჩვენებლები შეესაბამება თუ არა საქართველოს კანონმდებლობას და საერთაშორისო სტანდარტებს. რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია, მინიმუმამდე დავიყვანოთ ის ზემოქმედება, რომელსაც შესაძლოა კომპანია გარემოს აყენებს. აუდიტის მიმდინარეობისას, ექსპერტებსა და კონსულტანტებს, ნებისმიერ ობიექტთან დაკავშირებით, ყველა საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფთ და ასევე მივანდით ყველა ანალიზის დასკვნას, რაც კი აქამდე ჩატარებულა".

ბიუ ჟორჟოლიანი (გარემოზე ზემოქმედების

შეფასების დამოუკიდებელი კომისიის წარმომადგენელი) - "ეს ორგანიზაცია არის შექმნილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების

ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენისთვის. ჩვენ გვყავს ექსპერტთა 52-კაციანი რეესტრი, რომელშიც გაერთიანებული არიან სხვადასხვა პროფილის პროფესიონალები: სამთო საქმისა და ნიადაგმცოდნეები, ინჟინრები, არქეოლოგები, ჰიდროლოგები, გეოლოგები... მათგან იმ მიმართულების ექსპერტებს მოვიწვევთ, რომლებიც კონკრეტული საქმისთვის გვჭირდება. ასევე გვყავს



გამოცდილი კონსულტანტები უცხოეთიდან. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოში არ არსებობს კანონი გარემოს დაცვითი აუდიტის შესახებ. ჩვენი პარტნიორი კონსულტანტების ქვეყანაში კი ეს კანონი წლების მანძილზე მოქმედებს და მათ საკმარისი გამოცდილება დააგროვეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში აუდიტის ჩატარება "არემჯი გოლდსა" და "არემჯი კოპერში" უმნიშვნელოვანესია! უნდა მოწესრიგდეს გარემოს დაცვითი საკითხები, რაც სხვადასხვა შეკითხვას აჩენს. თითოეულ მათგანს უნდა გაეცეს ამომწურავი და ობიექტური პასუხი."

ბრიგორი შამაძოვი (მონაწილე ბარემოს დაცვითი აუდიტორი) – "ჩვენმა კომპანიამ - "ეკოლოგიური აუდიტის ცენტრი", რომელიც 2001 წელს

შეიქმნა, წლების განმავლობაში დაახლოებით ასამდე ეკოლოგიური აუდიტი ჩაატარა მსხვილ სამრეწველო კომპანიებში. აღსანიშნავია, რომ ეს საწარმოები სხვადასხვა მიმართულების იყო.



მაგალითად, მეტალურგიული, ცემენტის, ურანის მომპოვებელი, თბოელექტროსადგურები, მალაროები და ა.შ. ჩვენ გვაქვს დიდი გამოცდილება, რადგან ჩვენი ქვეყანა მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, რომელთა მოპოვებითაც ბინძურდება გარემო. სწორედ ამიტომ, ჩვენი მიზანია მინიმუმამდე დავიყვანოთ საწარმოების მიერ გარემოზე უარყოფითად ზემოქმედების შემთხვევები. ჩვენ მივუთითებთ კომპანიას პრობლემის არსებობის შემთხვევაში და ვურჩევთ, როგორ იმუშაოს მის გამოსწორებაზე. გამოგვაქვს დამოუკიდებელი და ობიექტური დასკვნა, თუ რას აკეთებს

საწარმო გარემოს დაცვის მიზნით. ჩვენი დასკვნა ინვესტორებსაც მოიზიდავს, კომპანიის იმიჯსაც გაზრდის და ადგილობრივი მოსახლეობის ნდობასაც აღადგენს. როგორც დამოუკიდებელ ჯგუფს, ჩვენი მოთხოვნა იქნება, რომ ჩვენს საქმიანობაში არავინ ჩაერიოს. გავცნობით ინფორმაციას, საწარმოო ტერიტორიებს, გავაკეთებთ ანალიზს და ჩავატარებთ ლაბორატორიულ კვლევებს. 6 თვის შემდეგ კი დავდებთ დასკვნას და გავცემთ რეკომენდაციებს, თუ როგორ გააუმჯობესონ "არემჯი გოლდმა" და "არემჯი კოპერმა" ადგილზე არსებული მდგომარეობა."

ანსამბლ "მართვეს" სალიცენზიო საღამო



2015 წლის, 30 მარტს, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითმა კავშირმა ქვეყნის ქორეოგრაფიული ანსამბლების ლიცენზირებასთან დაკავშირებით, შემოქმედებითი საღამო გამართა თბილისში. საღამოზე მინეველი იყო დაბა კაზრეთის ქორეოგრაფიული ანსამბლი "მართვე". აღნიშნულ ღონისძიებაზე შემოქმედებითი კავშირისა და ანსამბლ "მართვეს" სახელით, ქორეოგრაფიის განვითარებისთვის შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადეს კომპანია "არემჯის". კომპანიამ, სპონსორობის ფარგლებში, საწვავით უზრუნველყო მოცეკვავეებისა და მათი მშობლების მგზავრობა. ამ საღამოზე ანსამბლმა "მართვემ" მორიგი ლიცენზია მოიპოვა. კომპანია "არემჯი" წარმატებას უსურვებს კაზრეთელ მოცეკვავეებს!

"არემჯი" ანსამბლ "მადნეულს" დააფინანსებს

კომპანია "არემჯი" დაბა კაზრეთში კიდევ ერთ ქორეოგრაფიულ ანსამბლს დააფინანსებს. ანსამბლ "მადნეულის" სტუდიაში 100 ბავშვია, "არემჯი" მოცეკვავეების ყოველთვიური ვარჯიშის საფასურს მთლიანად დაფარავს. "37 წელია ვხელმძღვანელობ კულტურის სახლთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ "მადნეულს". რადგან კულტურის სახლს არ გააჩნია სავარჯიშო სივრცე, ხელშეკრულების საფუძველზე ვიყენებთ #2 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზს. წლების მანძილზე მსგავსი რამ არ მომხდარა - არასოდეს არავის



დაუფინანსებია ანსამბლი. ამ დაფინანსებით ბავშვები დიდ სტიმულს იღებენ და მეტი მონდომებით ვარჯიშობენ. მშობლებიც ადვილად მოახერხებენ სხვადასხვა ღონისძიებებზე მონაწილეობის მისაღებად საფასურის გადახდას. "არემჯის" მხრიდან დიდი თანადგომა და



მხარდაჭერა ვიგრძენი. ჩვენ ჩვენი მხრიდან ვასახელებთ როგორც რეგიონს, ასევე კომპანიას." - ციური პაპიაშვილი, "მადნეულის" ქორეოგრაფი. "მინდა, მშობელთა სახელით კომპანიას მადლობა გადავუხადო. ეს ბავშვები წლების მანძილზე დადიან ანსამბლში, მაგრამ არ გვახსოვს ვინმესგან ასეთი გვერდში დგომა და დახმარება. ეს დიდი შეღავათია თითოეული ოჯახისთვის. ძალიან გაგვახარა "არემჯიმ", - მარინა ჯაყელი, მშობელი. "მინდა მადლობა გადავუხადო "არემჯის". ის, რომ კომპანია მთლიანად დაფარავს ყოველთვიურ საფასურს ჩემი ოჯახისთვის დიდი შეღავათია. შეიძლება ბევრს არ ჰქონდა ფინანსური საშუალება, რომ

შვილი ეტარებინა სტუდიაში, მაგრამ კომპანიის დახმარებით ყველას ეძლევა შესაძლებლობა, რომ დაეუფლონ ქართულ ცეკვებს," - ამბობს ოლა ხმალაძე. "ანსამბლ "მადნეულში" 5 წელია დავდივარ. ჩემს მშობლებს უჭირდათ ყოველთვიური გადასახადის გადახდა. რადგან კომპანია "არემჯიმ" დაგვაფინანსა, ეს დიდი სტიმულის მომცემია," - რომიკო ღამბაშიძე, ანსამბლ "მადნეულის" წევრი.

კომპანია "არემჯი" ქორეოგრაფიული ანსამბლების გარდა, დაბაში აფინანსებს ადგილობრივ საფეხბურთო გუნდს და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ჯგუფს.



ფოტოფაქტი: ქვემო ქართლის რაიონალური მურნირი თავისუფალი სტილით ჟიდაობაში კაზრეთელი კადეტების მორიგი გამარჯვებით დასრულდა. ოქროს მედალოსნები ბიბა დემურაშვილი და დავით ურუაშვილი გახდნენ.